ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 სექტემბრის

რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 სექტემბრის რიგგარეშე სხდომის

ოქმი N 15

2022 წლის 27 სექტემბერი
დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, ბესიკი კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, თორნიკე ავალიშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, ქეთევან ზუმბაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, ლენა აბაშიძე, გოჩა გიორგიძე, ვახტანგი ტალახაძე, ავთანდილ კვინიკაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ნანა გორგაძე, კობა გოგსაძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 28 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე- მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლ. კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზ. ორბელაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

მედია.-ს. გლუნჩაძე ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

„სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის პეტრე შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე- „სახელმწიფო ბიუჯეტით

გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტში 2022 წელს დასაფინანსებელი საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ“ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N 69.69213501 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

ვ. ოდიკაძემ, რომელმაც კითხვა დაუსვა მომხსენებელს სოფელ მარელისის ცისკაძეების უბნის გზის დარჩენილი ნაწილის დასრულება იგეგმებოდა თუ არა წელს.

პ. შარიქაძემ, უპასუხა, რომ არ იგეგმებოდა, ეგ არის გარდამავალი პროექტი დაა დასრულდება მომავალ წელს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და კენჭის ყრაზე დააყენა საკითხი
კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 28,

წინააღმდეგი 0.

საკრებულომ გადაწყვიტა : განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე